

მეხუთე წერილი

მიტროპოლიტ ანთიმოზი ივერიელისა, რომლითაც ბრაშოვის შკეის მღვდლებს, მამასახლისებსა და მოსამართლეებს აცნობებს გამოგზავნილი პირების სასულიერო ხარისხში კურთხევისა და კათოლიკეების წინააღმდეგ აპოლოგეტიკური წიგნის მომზადების შესახებ[1]- 1713 წ. 17 მაისი

ანთიმოზი

წყალობითა ღვთისათა სრულიად უნგრო- ვლახეთის მიწების მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი[2].

ბრაშოვის შკეის წმინდა ეკლესიის ყოვლად პატიოსან მღვდლებს და სხვა სასულიერო პირებს ღვთისგან ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას, სიცოცხლესა და ცხონებას, ხოლო ჩვენი სიმდაბლისაგან გისურვებთ ლოცვასა და კურთხევას.

წერილი, რომელიც გამოგვიგზავნეთ და რაც მოგვწერეთ მასში ყველაფერი გავიგეთ. ორი მედავითნე, რომელიც გამოგვიგზავნეთ თქვენი სურვილისამებრ აქ ხელდასხმისათვის[3], დაუყოვნებლი ვაკურთხეთ ერთი-დიაკვნად და მეორე დიაკვანად და მღვდლად. რომელსაც ასევე მივეცით მოძღვრების უფლება[4] და ასევე გადავეცით ჩვენს მიერ დაწერილი წერილი და ასევე გამოგიგზავნეთ წმინდა

მირონი. და როდესაც დაგაკლდებათ მირონი, ან სხვა რომელიმე საგანი შეგვატყობინეთ და ჩვენ შევასრულებთ თქვენს სურვილს.

რაც შეეხება თქვენს თხოვნას გამოგიგზავნოთ წიგნაკები კათოლიკეების მხრიდან შევიწროების თაობაზე, ჯერ ვერ მოვახერხეთ მათი დასრულება, გთხოვთ, გვაცადეთ, რათა გაიაროს წმინდა კონსტანტინეს დღესასწაულმა და მთელის მოწადინებითა და ძალისხმევით ვიმუშავებთ, დავასრულებთ და გამოგიგზავნით[5]. ამ დროსთვის სულ ეს არის და მადლი ღვთისა ჩვენისა იყავ მარადის თქვენთანა.

სამყაროს შექმნიდან 7221 წელი 17 მაისი.

ა.უგ

კომენტარები:

---

[1]ბრაშოვის შკეის მუზეულის არქივში არსებული დოკუმენტი 51/1713, გამოქვეყნებულია გერასიმე ტიმუსის მიერ. Documentul 51/1713 din Arhiva Muzeului din Șcheii Brașovului, publicat de Gherasim Timuș, Acte relative la istoria Bisericii Române în Revista Biserica Ortodoxă Română, 1887-1888, p. 1033, de Sterie Stinghe, Documente privitoare la trecutul românilor din Șchei (1700-1783), vol. I, Tipografia Ciurcu & Comp., Brașov, 1901, p. 50-51 și de ÎPS dr. Laurențiu Streza și Pr. prof. Vasile Oltean, Sfântul Constantin Brâncoveanu și brașoveanu, Editura Andreiana, Sibiu, 2014, p. 389.. წერილი თარგმნილია კრებულიდან: ანთიმოზ ივერიელი; წერილები, ბუქარესტი, გამ-ბა ბაზილიკა, 2014. გვ. 99-101. Scrisori / Sfântul Antim Ivireanu ; lucrare publicată cu binecuvântarea Preafericitului Părinte Daniel, Patriarhul Bisericii Ortodoxe Române ; ed. îngrijită de Arhimandrit Mihail Stanciu și acad. Gabriel Ștrempel. - București : Basilica, 2014..

[2] ·მიმართვის ეს სიტყვები დაწერილია სლავურ ენაზე

[3] სასულიერო პირად კურთხევის რიტუალი გულისხმობს საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზთან მუხლმოდრეკილ კანდიდატის თავზე ეპისკოპოსის მიერ ხელების დასხმას და შესაბამის ლოცვების წაკითხვას, ამიტომ დიაკვნად მღვდლად ან ეპისკოპოსად კურთხევას ეძახიან ხოლმე ხელდასხმას. სასულიერო ხარისხში კურთხევა ხდება მხოლოდ წინა უფრო დაბალ ხარისხებში კურთხევის შემდეგ ანუ მღვდლად კურთხევის კანდიდატებს ჯერ აკურთხებენ დიაკვნის ხარისხში, მხოლოდ ამის შემდეგ აკურთხებენ მღვდლად. შესაბამისად ეპისკოპოსად იკურთხება მხოლოდ მანამდე დიაკვნად და მღვდლად ხელდასხმული პიროვნება.

სჯულის კანონი გულისხმობს, რომ ადამიანი უნდა დაყოვნდეს ხარისხში გარკვეული პერიოდის განმავლობაში. მაგრამ არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ერთი ხარისხიდან მეორე ხარისხში კურთხევა ხდება ერთი დღის ინტერვალით.

[4] ·არსებობს საეკლესიო კანონიკური პრაქტიკა, როდესაც ახალნაკურთ მღვდელს შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მიღებამდე არ ეძლევა მორწმუნეებისაგან აღსარების მიღების და შესაბამისად მათი დამოძღვრების უფლება. ამიტომ მიტროპოლიტი ანთიმოზი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მის მიერ ნაკურთხ მღვდელს მიეცა ასევე მოძღვრების უფლება და ეს უფლება, როგორც ჩანს იყო გამაგრებული შესაბამისი წერილის ან სიგელის მეშვეობით.

[5] წმინდა კონსტანტინეს და ელენეს დღე 21 მაისი ძველი სტილით.